№ 11

შაბათი 17 იანვარი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 11

შაბათი, 17 იანვარი, 1898 წ.

Библиотека Музея Рев. Грузии

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 8 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 9 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

---

**თავადი ნიკოლოზ გრიგოლის ძე და კნეინა მარიამ ივანეს ასული ჩერქეზიშვილები და შვილი მათი თავ. ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი ძმებისა და დებითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი ორნი—ფრიად საყვარელის ქალისას და უკანასკნელნი—დისას

## კნიაჟნა ნინო ნიკოლოზის ასულის ჩერქეზიშვილისას,

სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, 18 იანვარს, დილის 9½ საათზედ, მიცვალებულის გვამის გამოსვენებაზედ სახლიდგან (მესამე თუმანოვის ქუჩა, № 36) ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და იქიდგან კუკიის სასაფლაოზედ. პანაშვიდი გარდახდილი იქნება დღეს, შუადღის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ.

(1—9—1)

---

## „ივერია"

გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის" რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ბაქოში, ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

**ტელეფონი № 227.**

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ**. Редакція „ИВЕРІА".

---

**მთავრობის განკარგულებანი**

—

დანიშნულ იქმნა ყარსის ოლქის ოლთის ნაწილის უფროსი, პოდპოლკოვნიკი დრაჩევი—ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის უფროსად.

გამწესებულ იქმნენ: გლეხები ონოფრე ბალახაძე და ალექსი მიქელაძე—ახალქალაქის სამაზრო პოლიციის სამართველოს კანცელარიის მოხელეებად.

# ახალი ამბავი

—

⁂ 15 იანვარს, ქალაქის საბჭოს კრებაზედ, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ ნმა ივანენკომ, ვიდრე საბჭო საქმეების განხილვას შეუდგებოდა, განაცხადა: „11 იანვარს პატივი სცეს მეფის გმირის ირაკლი მე-II სახელს. რადგანაც მხოლოდ წინა დღით გადასწყვიტეს, რომ პატივი სცენ ამ მეფის სახელს, მე არ შემეძლო საბჭოსთვის შემეტყობინებინა ეს ამბავი, თითონკი პანაშვიდს სიონის ტაძარში იმიტომ ვერ დავესწარი, რომ ამ დროს დედათა გიმნაზიების სამზრუნველო საბჭოს, რომლის წევრადაც ვითვლები, როგორც ქალაქის მოურავი, კრებაზედ ვიყავი. მეფე—გმირის ირაკლის II ხსოვნის პატივის ცემის საქმეში მთელი ქალაქია დაინტერესებული, ამიტომ მახლობელს კრებაზედ ქალაქის საბჭოს წარვუდგენთ მოხსენებას იმის შესახებ, თუ როგორა ვცეთ პატივი ამ მეფის ხსოვნას 25 თებერვალს მეფე ირაკლის გვამის თელავიდგან მცხეთაში გადმოსვენების დღეს. ამ ჟამად-კი ძალიან ვწუხვარ, რომ სხვა-და-სხვა გარემოებამ ხელი შეუშალა ქალაქის წარმომადგენელთ პანაშვიდს დასწრებოდა".

⁂ 15 იანვარს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდა მეთამბაქოეთა პირველი კრება, რომელზედაც სამეურნეო საზოგადოების წევრმა ბ-ნმა დანდუროვმა წაიკითხა მოხსენება კავკასიაში მეთამბაქოობის მდგომარეობის შესახებ. შემდეგ დამსწრე მეთამბაქოეთა ლაპარაკიდგან გამოირკვა, რომ მეთამბაქოენი ძალიან გაჭირვებულნი არიან მიწის სივიწროით, მიწების იჯარის დიდის ფასით და განსაკუთრებით ბევრი გაჭირვება ადგიათ თამბაქოს მექარხნეებისაგან, რომელნიც სარგებლობენ მეთამბაქოეთა გაჭირვებულის მდგომარეობით და თითქმის მესამედ და ნახევარ ფასად ჰყიდულობენ თამბაქოს. ამისი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ თამბაქოს ბაზარი არა აქვს და მექარხნეები ურთ-ერთშორის პირის შეკვრით რა ფასიც უნდათ, იმას აძლევენ. ამის გამო დამსწრეთ გადასწყვიტეს მოილაპარაკონ ტფილისში თამბაქოს საწყობის დაარსების შესახებ.

⁂ ჩვენ ამას წინად ნათქვამი გვქონდა, რომ პლიუშჩევსკის მემკვიდრეთ აზრადა აქვთ იმისი გვამი ტფილისიდგან ოდესაში გადაიტანონ. ეხლა, როგორც ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ, კავკასიის მთავარ-მართებელს ნება არ დაურთავს, რომ პლიუშჩევსკის გვამი ტფილისიდგან ოდესაში გადაიტანონ.

⁂ მთავრობის განკარგულებით, სომხური გაზეთი „არძაგანკი", მავნე მიმართულებისა გამო, შეჩერებულ იქმნა რვა თვის ვადით.

⁂ როგორც შევიტყეთ, ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს, ახლო მომავალში წარუდგინოს საბჭოს მოხსენება ქალაქის ხარჯით ფურნის დაარსების შესახებ.

⁂ გამგეობასავე აზრადა აქვს ლამის თავ-შესაფართან იაფ-ფასიანი სასადილო დააარსოს.

⁂ კვირას, 18 იანვარს, სომეხთა კათოლიკოსი გამართავს სადილს, რომელზედაც მიპატიჟებული იქმნებიან კავკასიის მთავარ მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი და სხვა წარჩინებულნი და აგრეთვე ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი.

⁂ გზათა მინისტრის ნება დართვით ამიერ კავკასიის რკინის გზის ზოგიერთ ბაქანებს შემდეგი სახელები უწოდეს: ბათუმის ნაწილში 91 ვერსის და 93 ვერსის მანძილზედ—მწვანე კონცხი და მახინჯაური, ფოთის ნაწილში მე—27, 40, 57 და 68 ვერსის მანძილზედ—ქვალონი, ნოსირი, ცხენის ფონი და გუბე; ბორჯომის შტოზედ მე—9 ვერ.—ქვიშხეთი და უმთავრეს ლიანდაგზედ მე—263 და 273 ვერ.—მოწამეთი და ზედაზენი.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი პეტერბურგში 7 თებერვალს წაბრძანდება.

⁂ 14 იანვარს, წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში დღესასწაული ბალით დასრულდა. ბალს დაესწრენ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლი თურთ, მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, ეგერმეისტერი თავ გ. დ. შერვაშიძე მეუღლი თურთ და მრავალნი სხვანი, ამავე ბალში მიპატიჟებულნი იყვნენ ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის მოსწავლენი. ცეკვა საღამოს 8 საათზედ დაიწყო და შუაღამემდის გასტანა.

⁂ გუშინ წინ, 15 იანვარს, მთავარ-მართებლის საბჭოში დაიწყეს განხილვა ახალის პროექტისა ამიერ-კავკასიაში პოლიციის დარაჯთა გამრავლების შესახებ. ახალის პროექტით ამ საქმეს დასჭირდება აუარებელი ფული, რომელიც გადადებული იქმნება ზოგი ხაზინიდგან და ზოგიც ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდგან.

⁂ სამხედრო-საქართველოს გზაზედ თოვლის ზვავების გამო რუსეთის ფოსტა გუშინ და გუშინ-წინ ტფილისში არ მოსულა.

⁂ გუშინ-წინ, 15 იანვარს, ტფილისის გერმანელთა ახალშენმა იდღესასწაულა გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ მე-II დაბადების დღე. გერმანელთ „ნემეცთა სობრანიაში" სადილი გამართეს და გერმანიის ელჩს მიულოცეს.

⁂ საუფლისწულო უწყებას აზრადა აქვს კახეთის საუფლისწულო მამულებში გააშენოს ჩაის ხე. გასაშენებლად ჩაის ხეს ჩაქვიდგან წაიღებენ.

⁂ 15 იანვარს, „ტფილისის სობრანიაში" მამასახლისების არჩევანი იყო. არჩეულ იქმნენ: თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ა. ს. ბაბოვი, ნ. ა. გრიკუროვი, პ. ი. ალიბეგოვი და პოდპოლკოვნიკი საакოვი. დანარჩენი ოთხი მამასახლისი და კანდიდატები შემდეგ კრებაზედ იქმნებიან არჩეულნი. კრებამ მადლობა გადაუხადა წინანდელს მამასახლისებს.

⁂ „ივერიის" გუშინდელს ნომერში ნათქვამი გვქონდა, რომ მიწად მოქმედების და სახელმწიფო მამულების მინისტრის რწმუნებული ბ-ნი ი. ს. მედვედევი თებერვალში პეტერბურგს მიდისო. როგორც შევიტყეთ, სხვათა შორის, ბ ნი მედვედევი წარუდგენს განსახილველად სამინისტროს თავ. ერისთავის მიერ შეწირულ მამულში სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საქმეს.

⁂ ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ 28 დეკემბერს კ. წულუკიძემ და ნ. ლორთქიფანიძემ დასჭრეს გლეხები ჯალაგანიებიო. ამ საქმის შესახებ აი რასა სწერენ გაზ. „ახ. მიმ." როდესაც ძმანი ჯალაგანიები აზ. ადამიას მამულს დაუპირდაპირდნენ, წინ შეეფეთათ თავ. ნ. ლორთქიფანიძე, რომელმაც ერთს ძმას ჯალაგანიას ხელი მოჰხვია და უთხრა, რომ აბა სიმღერა რამე ვთქვათო. ჯალაგანიამ უპასუხა, რომ ნეტა როგორმე სახლამდის მივიდე, თორემ რა სიმღერის დარდი მაქვს, შენი ჭირიმეო. ამ სიტყვების შემდეგ ლორთქიფანიძემ ჯერ სილა გაარტყა ჯალაგანიას და შემდეგ ხანჯლით დაუწყო ჩეხვა. ძმას დანარჩენები მიეშველნენ და ჯოხებით იგერებდნენ ლორთქიფანიძეს, ამ დროს საიდგანღაც გაჩნდა წულუკიძე და თავს დაეცა გლეხს შუგლაძეს, რომელიც ჯალაგანიებთან ერთად მოდიოდა შექეიფიანებული. წულუკიძე აზ. ადამიამ ჩამოაშორა გლეხს შუგლაძეს, მაგრამ ცუდი დღე დააყენეს ძმათა ჯალაგანიებს. საბრალო ძმათ წულუკიძემა და ლორთქიფანიძემ 70—80 საჟ. მანძილზედ სდიეს ხანჯლებით და შემდეგ დევნილებმა რისვაი ვაგლახით თავი ს. ტ. წულუკიძის სახლს შეაფარეს.

⁂ ნავთლუხი. 16 იანვარს, დილის 6 საათზედ, რკინის გზის ლიანდაგზე მესრემ იპოვნა ადამიანის ფეხი. როგორც სჩანს მატარებელს მოუწყვეტია, მაგრამ ვისია, ეს კი არ იციან. მხოლოდ სისხლის კვალი სჩანს სადგურზედ მოშორებით, მაგრამ ეს კვალიც რამდენისამე ნაბიჯის მანძილის იქით არ მიდის.

⁂ გაზ. „კავკასის" სიტყვით, საუფლისწულო უწყებას აზრადა აქვს შეისყიდოს ქართლისა და კახეთის მემამულეთაგან სხვა და სხვა ქიშნიკის ღვინო და შეინახოს იგი, რომ გამოსცადოს, რამდენ წელიწადს შეიძლება მათი შენახვა.

⁂ გაზ. „ახ. მიმ." სწერენ ზუგდიდიდგან, რომ ამ დღეებში ზუგდიდის მაზრის სოფ. ოჩამჩირში ადგილობრივმა პოლიციამ შეიპყრო ციმბირიდგან გამოქცეული დათა ხორავაო.

⁂ ახალ სენაკი. თავი მოგვაძულა გამუდმებულმა ავდრებმა. გაჭირდა ცხოვრება. ერთი პაწია ურემი შეშა ორ-სამ მანეთად ფასობს, წინადკი ამაზედ უფრო მეტს ოთხ აბაზად იყიდდა კაცი. ეს უფრო იმიტომ არის, რომ სოფლიდგან სოფლად მიმოსვლა შეწყვეტილია თოვლისა და ყინვებისაგან... ვერ იქმნა და ვერ მოემატა სიმინდს ფასი. ამ იანვარში სენაკში მოტანილი სიმინდი ფუთი ღირს 35 კაპ. წონაშიაც ბერძნები და იმათი „აგენტები" ატყუებენ საწყალს ხალხს. სასურველია ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, ვისიც მოვალეობაა.

მეპურეებმა პურის ფასიც ასწიეს, თუმცაღა ნიხრი აქვთ დადგენილი, მაგრამ ამასაც ვინ ინაღვლებს, ოღონდ პური მაინც გამომცხვარი იყოს. პურს არცა სცრიან და შიგ ჩალა-ბულა სძევს.

⁂ ბაქო. 13 იანვარს საბუნჩის ლიანდაგზედ მე-7 ვერსზე ჰნახეს ყელ-გამოჭრილი გვამი კაცისა, ასე 25 წლისა. ვინაობა ჯერ არ გამოურკვევიათ.

⁂ ქ. ახალქალაქი. 11 იანვარს აქ წირვა და პანაშვიდი გადავიხადეთ განსვენებულის ნეტარ-ხსენებულ მეფე ერეკლეს გარდაცვალების ასის წლის შესრულების გამო. ხალხი ბლომად დაესწრო. ვინც კი აქ ქართველობა ვართ ყველამ მოიყარა თავი. ამასთანავე ხელის-მოწერა არის გამართული ერეკლე მეფის ფონდის სასარგებლოდ და უკვე ხელ მოწერი-

ლია 80 მანეთი, ამათ შორის მარტო ერთმა პატივცემულმა ქართველმა მოაწერა ხუთი თუმანი. ხელის მოწერა ჯერ არ შეწყვეტილა. როგორც მაზრიდან ისმის, ჯავახეთის ყველა ქართველთა სოფელში გადაუხდიათ პანაშვიდი დიდებულ მეფის სულის მოსახსენებლად.

*** ქ. ბაქო. 12 იანვარს იარმუკაზედ მე-4 ნაწილის პოლიციელის ქქვთიმე ჟუკის გვამი იპოვეს. მოკლულს თავის ქალა სულ ერთიანად დამსხვრეული ჰქონდა და ისე ეგდო მიწაზედ. ეტყობოდა, რომ რაღაც ბლაგვის იარაღის შემწეობით მოუკლავთ. საბრალო ჟუკისთვის გაუხდიათ ტანისამოსი, იარაღი აუყრიათ და საცვლების ამარა დაუტოვებიათ. ეჭვი ჯერჯერობით ერთს რუსზედ მიიტანეს და დააპატიმრეს.

*** ორთუბანი (გორის მაზრა). 7 იანვარს ჩვენს სოფელში შემდეგი უბედურება დატრიალდა. სოფ. შავსოფლის მცხოვრებელმა ივანე ფარასტაშვილმა აქაური მცხოვრებელი სიმონა მირმანის ძე ფილიშვილი თავისის სახლის კარებ წინ მოჰკლა.

*** 15 იანვარს ღამით მიხეილის ქუჩაზედ არუთინოვის სახლებში ნახშირის სუნისაგან უეცრად გარდაიცვალა გორის მაზრის მცხოვრებელი მიხეილ ივანეს ძე ტურუზოვი, 23 წლისა. მიცვალებულის გვამი შესამოწმებლად მიხეილის საანატომიო კაბინეტში იქმნა გაგზავნილი.

*** 15 იანვარს მე-6 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა ტფილისის მცხოვრებელმა მაშადი-მამად-აჯი-აბდულა ოღლიმ, რომ ჩემის დუქნის კლიტე ვიღასაც გაუტეხნია და წაუღია 100 წყვილი ქოში, 15 გირვანქა შაქარი და 5 გირ. ჩაი, სულ 65 მანეთისა. ბოროტ-მოქმედნი ერევნის მცხოვრებლები ირზა-ქერბალაი-ჯაფარ ოღლი, ტაშ-გაშიმ-ოღლი, ალი-მოლლა-მამედ-ოღლი და სპარსეთის ქვეშევრდომი ჰაჯი-ჰუსეინ-ოღლი პოლიციამ უკვე შეიპყრო.

*** ჩვენის გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ ამ დღეებში ყარსის რკინის გზაზედ დაიმსხვრა მუშა მატარებელი. მატარებლის დაღუპვის საქმის გამორკვევა სასამართლოს მიენდო. ამბობენ, რომ რელსებზედ ქვები განგებ დაუწყვიათ, რომ მატარებელი დაღუპულიყო.

*** უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო ამით აცხადებს, რომ 1897 წ. 1 დეკემბრისთვის განყოფილებას 48970 მან. და 32 კაპ. ჰქონდა, დეკემბრის განმავლობაში განყოფილებას 522 მან. 45 კაპ. შემოუვიდა, ამავე თვეში 895 მან. 62 კაპ. დაიხარჯა და 1898 წ. 1 იანვრისთვის განყოფილებას 48597 მან. 15 კაპ. დარჩა. ამ თანხიდგან 9396 მან. 62 კაპ. ინახება ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, ამავე ბანკის შემნახველ-გამსესხებელ კასსაში—1870 მან. 7 კაპ., იქვე %% ქაღალდებით—37105 მან, 13 კაპ. და სამზრუნველოს განყოფილების კასსაში 225 მან. 33 კაპ. განყოფილების თვალის საავადმყოფოში დეკემბრის განმავლობაში ხელ-ახლად 302 კაცმა იწამლა და წინად მოსიარულეებთან ერთად სულ 2047.

---

## წერილი ოზურგეთიდგან.

5 იანვარი.

გურულთათვის წრევანდელი შემოდგომა და ზამთარი სწორედ რომ ჯოჯოხეთია: ჯერ შემოდგომაზედ თოვლმა მოსავალი გაგვიფუჭა, ხეხილი მთლად დაამტვრია, დაამსხვრია. ეხლა 13 ქრისტეშობისთვიდგან დიდი შეუსაფერავი თოვლი სძევს: ღამე საშინლად ჰყინავს, დღით—თოვლი და ქარია. არ ვიცით, თუ მშვიდობით გადავრჩებით ამ „ყიამათ“ ავდრებს და ისევ კეკლუც, სასძლოდ მორთულ, სიცოცხლის მომნიჭებელ გაზაფხულს მშვიდობით მივესალმებით.

კერძოდ ჩვენ, ოზურგეთელთათვის, ეს შემოდგომა და ზამთარი დიდხანს სახსოვრად დაგვრჩება: ჯერ ერთი, რომ ამ შემოდგომაზედ ერთი ხალხის განმავითარებელ ტაძართაგანი—სამკითხველო-წიგნთ-საცავი დაგვიარსდა ჩვენს პატარა, გარნა მალხაზ ოზურგეთში. სამკითხველო ლამაზად მორთულ ოთახშია მოთავსებული. ჟურნალ-გაზეთებიცა და ქართულ-რუსულ წიგნებიც საკმაოდაა. ამ შემოდგომაზევე ჩვენს ოზურგეთშივე ჩვენი კეთილის მყოფელებმა დაგვიარსეს ამბულატორია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექმნება ღარიბ ხალხისათვის. მახსოვს, რა უბედურ და გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო უექიმობით შეუძლებელი ვლეხ-კაცობა, ნამეტნავად ზაფხულობით, როცა სამხედრო ექიმები აგარაკად გაჰყვებოდნენ ჯარს. აი, ამისთანა დროს გაჭირვებული იძულებული იყო მთელი დღე ურმით ეცადა ერთად-ერთის აქაურ ექიმის დ—იანცი'ს კარებთან, სანამ იგი ინებებდა გამობრძანებას, საწყალს ავადმყოფს-კი ზევიდგან წვიმა ასხამდა, ან მხურვალე მზე უცხუნებდა და უსწრაფებდა უკანასკნელ დღეს. ეხლა, სხვა რომ არა იყოს-რა, ოთახები მაინც გვაქვს, სადაც შეუძლიან ღარიბ ავადმყოფს, ექიმის მომლოდინეს, თავი შეაფაროს. იმედი გვაქვს, როგორც ამ საქმის მოთავენი, აგრეთვე ჩვენი აქაური ექიმები ყოველს ღონეს იღონებენ, რომ ამბულატორიის საქმე სასურველად მოაწყონ.

ჩვენმა ქალაქის თვით მმართველობამ აღძრა თხოვნა მთავრობის წინაშე, ვაჟთა პროგიმნაზია დაგვიარსეთო. თუ რაოდენად დიდი აქვთ სურვილი გურულთ სწავლა-განათლების მიღებისა, ეს ყველა ჩვენი ცხოვრების მეთვალ-ყურეთათვის ცხადია: ამ ჩვენი ტურფა საქართველოსი მცირე, მაგრამ ედემად ქცეულ კუთხის-გურიის მცხოვრებნი ყოველს თავისს ღონეს, მეცადინეობასა და მხნეობას იმას ახმარებენ, რომ „რაცხაფერა“ მომავალ თაობას გზა და კვალი გაუნათონ სწავლა-მეცნიერების დიდებულ ლამპრით. ესევე სურვილია მიზეზი ჩვენის თავ-გამოდებისა და ულონოობით უკან არ დაწევისა ვაჟთა პროგიმნაზიის დაარსების საქმეში. იმედია, მთავრობა ჩვენს საფუძვლიანს თხოვნას შეიწყნარებს.

4 იანვარს აქ გაიმართა ქართული საღამო პატივცემულ კნ. ნინო გურიელისა და თავად ნ. თავდგირიძის მოთავეობით. საღამოს საქველ-მოქმედო აზრი ჰქონდა: წმინდა შემოსავალი დანიშნული იყო თეატრ-სამკითხველოსათვის შენობის ასაშენებლად. თითქოს ამ კეთილს აზრს არ თანაუგრძნობდაო ბუნება, დილიდანვე საშინელი თოვლი მოდიოდა და ქარი ჰქროდა, ამისდა მიუხედავად საზოგადოება ბლომად დაესწრო საღამოს: საქალებო სასწავლებელი, სადაც იყო დანიშნული საღამო, ხალხით იყო გაჭედილი. სტუმრებიც ბევრი გვესტუმრა ქალაქ ბათუმიდგან. მოთამაშეებმა საზოგადოთ მშვენივრად ჩაატარეს საღამო. ნამეტნავად საზოგადოებას ასიამოვნეს ქალბატონმა ატატო ბეჟურიშვილმა თავისის გურულის სცენებით და ლექსებით და გრ. აბაშიძემ. ცოცხალ-სურათებიც მშვენივრად იყო დადგმული. ამ საქმეში დახმარებისათვის დიდის მადლობის ღირსია დრუჟინის აფიცერი ა. კ. ვილნიცკი, რომელიც ქართულ საღამოებს მუდამ თანაუგრძნობს.

დიდად სამწუხაროდ დაგვრჩა, რომ ჩვენი ახალგაზდა მომღერალი ი. კარგარეთელი არ მოვიდა და იმედი გაუცრუა საღამოს მოთავეთა და საზოგადოებას. ბ-ნი კარგარეთელი წერილით დაჰპირდა საღამოს გამგეთ, რომ ჩამოვალო და მონაწილეობას მივიღებო, მაგრამ აღარ შეასრულა თავისი პირობა და არც შეგვატყობინა, ვერ დაგესწრობითო. ჩვენის ფიქრით, ამისთანა ახალგაზდა თვითონვე უნდა ყოველს ღონესა ჰღონობდეს, რომ საზოგადოებას გაეცნას ჩვენის საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში, თავისი ხელობისა და ასპარეზის მიმდევართ დაუახლოვდეს, თუ კი სამერმისოდ ჰფიქრობს.

დასასრულ, ვუსურვებთ მოთავეთ ხშირად გაემართოთ ამისთანა მშვენიერი საღამოები და ამით საზოგადოებას დრო და დრო ჰორიკანობა-ჭირიანობას თავი დააღწევინონ.

ჰამუთ-ბეი

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ხორში**, (სამეგრელო), 12 იანვარი. ამ სოფელში ერთი არა-ჩვეულებრივი ამბავი მოხდა. აი თვით ეს ამბავიც: აქ სცხოვრობს ერთი შეძლებული კაცი გიგო კაშიბაძე, რომელიც ამ სოფელში პირველ კაცად ითვლება. თითონ გიგო კაშიბაძე იქნება 80 წლისა, მაგრამ ცხენი და იარაღი პირველი მისი საყვარელი იყო. ახალ წელიწადს დღეს, გიგო კაშიბაძე თავისის კაჟიშვილებით სიმღერა-მხიარულებით ეკკლესიაში წასულა და ქალებისათვის უთქვამს: დღეს კარგ გუნებაზედა ვარ და, თუ ღმერთი გწამთ, თქვენებურად კარგი სადილი დაამზადეთო. როდესაც ეკკლესიაში შესულან, გიგო კაშიბაძე პირდაპირ ხატთან მისულა, პირჯვარი დაუწერია, მეტანია უქნია ხატის წინ, და შემდეგ, როდესაც უკან გამობრუნებულა, უცბად უსულოდ დაცემულა და მხოლოდ ერთი სიტყვა უთქვამს: „აი,

---

# ფელეტონი

## იმათ შესახებ

(ლალს, ზურაბიშვილს და კომპანიას)

„Дураковъ не убавимъ въ Россіи,
„А на умныхъ тоску наведемъ“.
Некрасовъ

დიახ, იმათ შესახებ მსურს მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა. „ჩვენ ბევრნი ვართო“, ამაყად გაიძახიან. საეჭვოა, თუმცა ყოველ შემთხვევაში დამახასიათებელია ჩვენებურ უდედააზრო და გზა-არეულ დროსი. ვისთვის და რას ებრძვიან ეს „ჩვენის დროის გმირნი“? გარკვეული პროგრამმა მოღვაწეობისა ამათ არა აქვთ. ამათი ალიაქოთი ასტეხა ერომა გარემოებამ; ამათი ტკბილი ძილი დაარღვია და საომარ იარაღით აღჭურვა ისინი მხოლოდ იმან, რომ ველიჩკომ, გაზ. „კავკაზის“ რედაქტორმა, სთქვა: პოლიტეხნიკუმი ტფილისში ნუ დაარსდება, კავკავში სჯობიაო. ერობის შესახებ ჩვენში ბ-ნ ველიჩკოს ცუდი, არა-სასარგებლო ჩვენთვის არა უთქვამს-რა. მაგრამ ვთქვათ, ერობაც ჯერ ადრეულად მიაჩნია ჩვენთვის ველიჩკოს. აი ამ ორ ჩხირზედ ააშენეს „ჩვენის დროის გმირებმა“ ქაღალდის ციხე-სიმაგრე, დაუწყეს ზედ სათამაშო ჩიხები, რომელიც დიდ საომარ ზარბაზნებად მიაჩნიათ, და „იბრძვიან“ გამწარებულნი. ველიჩკო მტერია ქართველებისაო, ჩვენის განათლებისა და წინმსვლელობისაო! აი, ამ სტვირზედ დაჰმღერეს და „ჩვენმა მეზობლებმა“-ც, რასაკვირველია, ტაში დაუკრეს და „მალადეცობითაც“ აქეს. ეს იმათთვის ძალიანაც ხელსაყრელია. ისინი თავისუფლად ამოისუნთქებენ და იტყვიან: აი, რა საშინელება ყოფილა ველიჩკო, ის ჩვენს ღვირ-წახსნილს ბურჟუაზებს-კი არ სდევნის, არამედ კავკასიის ხალხებსო.

დიდი სიცრუეა ასეთი დასკვნა და სრულიად არ შეესაბამება იმ კეთილ-შობილურს მიმართულებას, რომელსაც ადგას ველიჩკოს „კავკაზი“ კავკასიის ხალხების ეროვნულ საქმეში და მათ დაკავშირება-შეერთებაში დიდ რუსეთთან.

უბედურება „ჩვენის დროის გმირებისა“ ის არის, რომ ისინი სომხის ღვირ-ახსნილ ბურჟუაზიის შერცხვენას იღებენ საზოგადოდ ერის შელახვად,—ეს ერთი. მეორეც ისა, რომ ვერა საზღვრავენ კერძო საკითხს ზოგადისაგან.... ანუ საზღვრავენ, მხოლოდ-კი ძალიან თავისებურად. თუ იმათი „ტიტინი“ ბაზარსა და მუშტარს ჰპოულობს, რაც ჩვენ ძალიან საეჭვოდ მიგვაჩნია,—ამისი მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ თვით მთავარი საგანი კამათობისა „ნისლითა და ბურუსით“ შეჰმოსეს „გმირებმა“. საგნის გამოძიების ნაცვლად, ისინი „ლამაზის“ სიტყვების აკინძვას მოჰყვნენ, ამიტომაც მათი ნაწერები უფრო ჰგავს სტილისტიკურს ვარჯიშობას მესამე კლასის მოსწავლისას, ვიდრე აზრსა და მსჯელობას ჰასაკში მოსულ ადამიანისას.

ყოველი ღირსეული მამულის შვილი, ქართველი, უპირველესად დაეკითხება თავისს თავს: რა შეადგენს მისს წმიდათა-წმიდას, როგორც ქართველისას, და რაგვარია აზრი და ფიქრი ველიჩკოს „კავკასისა“ ამ დედა საკითხის შესახებ. აი, თუ აქ გვღალატობს ველიჩკო, — ინებეთ, მეც ხელს მოვაწერ თქვენს რისხვას. მაგრამ მოდი, როგორც იტყვიან, ქაღალდი გავშალოთ და გულ-ახდით ვილაპარაკოთ. უმთავრესი აზრი და ძალა ახალის, რუსეთის ძლიერ კალთის ქვეშ შეფარებულ და გაღვიძებულ საქართველოსი, საუკეთესო ფიქრნი და აზრნი საუკეთესო მისს შვილთა, მთავარი მისწრაფება მთლად ჩვენის ერისა იყო და არის დაცვა ჩვენის ქართველობის „ეთნოგრაფიულ თვისებისა“, დაცვა წმიდად, შენახვა და განვითარება ყოველისავე იმისი, რაიცა შეადგენს თვისებას ქართველობისას, როგორც ერთის განსაკუთრებულის „ეთნოგრაფიულის“ სხეულისას. „ჩვენის დროის გმირები“ სდუმან ამ საგანზედ, არა აქვთ სიმამაცე ქართველს საზოგადოებას გამოტეხით და გამოაშკარავებით უთხრან თავიანთი შეხედულობა ამის შესახებ. ეს შიში კიდევ საბუთია იმისი, რომ აქ ისინი ვერ დასთანხმდებიან მოძმეებს და იმათს რისხვას დაიმსახურებენ.

აბა ახლა მიბრძანეთ, ვინ იყო ის არა-ქართველი კაცი, რომელმაც საბუთიანი და სამართლიანი მსჯავრი დასდო საჯაროდ, საქვეყნოდ ქართველთა გულის-ნადებს? ეს იყო ბ-ნი ველიჩკო და მისი „კავკასი“. აქ ველიჩკომ გამოიჩინა უდიდესი ჰუმანიზმი და პოლიტიკური ჭკუა. ველიჩკომ ჩამოიტანა ამ საგნის შესახებ საუკეთესო შეხედულობა-აზრი რუსეთის საუკეთესო მწერლებისა და სახელმწიფო კაცებისა. და განა ეს არ არის ღირსება და სამსახური მოღვაწისა და მწერლისა? ველიჩკომ იკისრა გადოს ხიდი სიყვარულისა, ნდობისა დიდს რუსეთსა და პაწია საქართველოს შორის, ისე-კი, რომ პაწია საქართველო, როგორც „ეთნოგრაფიული სხეული“, საღი და ხელუხლებელი დარჩეს. და განა ამ სამსახურს მწერლისას ან რუსეთი ან საქართველო დაივიწყებს? ამას ვერ აფასებენ მხოლოდ „ბალანა გმირნი“ და წაქეზებულნი ბურჟუა—სომხების მიერ ტიტინებენ „არა-მკითხე მიამბეს“. აი ის მთავარი საკითხი, რომელზედაც ველიჩკოს „კავკასის“ აზრი,—მოძღვრება ეთანხმება, ეთანასწორება საქართველოს საუკეთესო შვილთა აზრსა და ანდერძს.

მეორე მთავარი დარდი საქართველოსი არის მისი ეკონომიურად დაცემა. მეორე მისი ტკივილი არის ეკონომიურის თვისებისა და მოითხოვს სოციალურს წამლობას. სოციალურის ტკივილების განკურნება ადვილი საქმე არ არის. ჯერ თვით მეცნიერებაში არ არის ნაპოვნი უებარი მისი წამალი. ამ უკანასკნელს დროს ეოდაში შემოვიდა ეგრედ წოდებული „ეკონომიური მატერიალიზმი“; ერთმა ქურუმმა ამ მოძღვრებისამ, ბ-ნმა ივანოვიჩმა, „Новое Обозрѣніе“-ს რედაქციაშიაც მოიკალათა. ჩვენი „ბალანა გმირებიც“, ვგონებთ, ამ მოძღვრებას მიჰკედლებიან და მხოლოდ ის გზა მიაჩნიათ ჭეშმარიტ გზად ყოველთა სოციალურ სენთა განსაკურნებლად. ჩვენ ვთქვით „ვგონებთო“, რადგან იმათ ნაწერებიდგან კაცი ვერ გაიგებს, რომელ ღმერთს ემსახურებიან.

სხვანი სხვა გზით ელიან შველას. სხვათა შორის, ბ. ველიჩკო, რამდენადაც გამოაშკარავდა მისი ფიქრი და აზრი ამ საგნის შესახებ, მომხრეა ესრედ წოდებულ „სახელმწიფო სოციალიზმისა“. მისის აზრით სახელმწიფოა მოვალე ჩაერიოს ცხოვრებაში თავისის მძიმე და საბუთიანის სიტყვით და მოსპოს ის სოციალური უსწორ-მასწორობა და სიბოროტე, რომელსაც დაუბუდნია ჩვენს ცხოვრებაში. აქედგან წარმოსდგება მიმართვა და ღაღადი მთავრობის მიმართ, რათა მან დაიჭიროს მხარე დაჩაგრულისა და საბოლავოდ არ შეაჭმევინოს მთელი ჩვენი ქვეყანა სვავსა და არაფერში გამოსადეგს ჩვენს აზიურს ბურჟუაზიას. ჩვენი მშრომელი, მომყვანი და გამკეთებელი ერი ბოგანად რჩება და მდიდრდება არაფრის მომყვანი და ქვეყნისა და სახელმწიფოსთვის არაფრის შემქნელი აზიური ბურჟუა. ეროვნულის მხრივ შეხედავთ ამ საგანს, თუ სა-

შვილებო, მოვიდა უკანასკნელი წუთები!“-ო. შემოეხვივნენ თურმე გარს შვილები და მლოცველები, მაგრამ საბრალო უკვე გარდაცვლილიყო. მიცვალებული მისმა ჭირისუფლებმა სახლში წამოიღეს. ტირილის დღეს, როდესაც ეზოდგან ცხედარი გამოასვენეს, იმისმა ჭირისუფლებმა ერთს დაახლოვებულს ნათესავს განსვენებულის ხელით სიცოცხლის დროს გატენილი რევოლვერი, თოფი, „ფიშტო“ და სხვა მისცეს, რათა გაესროლათ. თითქმის ათ-თორმეტ ჯერ გავარდა თოფი. აქ და სამეგრელოს ყოველ ადგილში წესად არის შემოღებული ძველის-ძველი დროიდგან, რომ თუ ოჯახის უფროსი, ხნიერი წევრი გარდაიცვალა, უსათუოდ თოფი უნდა გაისროლონ, როდესაც ეზოდგან გაასვენებენ მიცვალებულსა...

ჩვენსკენ მეტის-მეტი სასტიკი დიდი ზამთარია. დეკემბრის შუა რიცხვებში მოსული თოვლი არამც თუ ერთს თვეს არ მოშორდება დედამიწას, მაისამდე იქნება. ან რა დაადნობს თოვლსა, როდესაც დღისით საოცარი ქარ-ყინვებია და ღამით კიდევ უარესი. ასეთმა მოულოდნელმა დიდმა ზამთარმა სწორედ მეტის-მეტად შეგვაწუხა. ჯერ ერთი, ზამთრისათვის სამყოფი შეშა არ მოგვემკვება და, მეორეც, საქონლისათვის საკვები ჩალაც შემოგვაკლდა. მართალია, 1895 წ. მაგარი ზამთარი იყო, მაგრამ თოვლი იმდენს ხანს არა სძევდა მინდვრად, რამდენს ხანსაც ეხლაა. არც ასეთი დიდი ყინვები იყო და არც ამდენი ტანჯვა-წვალება გვიგრძვნია. ერთის სიტყვით, არ ვიცით, რა გვეშველება, თუ ამინდმა როგორმე ხელი არ შეგვიწყო...

ტელეფონი

# თეატრის მატიანე

15 იანვარი

ქ-ნ კარგარელის ბენეფისი

„ინჟილერი ან დოხტური“, კომედია 4 მოქმედებად, ქ-ნ აზიანისა.

„მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“. ორ-მოქმედებიანი ფარსი ავ. ცაგარლისა.

ხუთშაბათს, 15 იანვარს, ქართულ თეატრის არტისტებმა წარმოადგინეს ოთხ-მოქმედებიანი ახალი კომედია თხზულება ქალბ. აზიანისა. შინაარსი კომედიისა, რომელიც ამოღებულია სომხთა ცხოვრებიდგან, შემდეგია. სალომე უზარნოვის ქვრივს ორი ვაჟი-შვილი ჰყავს; ერთი ინჟენერია, მეორე მკურნალი. ქვრივი, რაღა თქმა უნდა, ძლიერ კმაყოფილია თავისის ბედისა, ნასწავლი, კარგის სახელისა და სამსახურის შვილები მყავსო, ამაყობს ამ შვილებით, ჰსურს მათი ბედნიერება და კეთილ-დღეობა და ვითარცა მდიდარ ვაჭრის ცოლსა და ისეთის ოჯახის წევრსა და წრის ადამიანს, რომელსაც ყოველივე ამ ქვეყნის სიკეთედ და ბედნიერებად მხოლოდ სიმდიდრე მიაჩნია, სულ იმის ფიქრსა და ცდაში არის, ჩემს შვილებს მდიდარი ქალები შევრთო, რომ ცხოვრებაში არაფერი გაუჭირდეთო. ან ვინ დამიჭერს ქალსა ბ მზითევსაო, ჰფიქრობს მოხუცი, ერთი შვილი „ინჟილერი“ მყავს და მეორე „დოხტური“, ფულის მოგება კარგად შეუძლიანთ და ამიტომ ყველა ქალი დიდ ბედნიერებად მიიჩნევს ჩემს რძლობასაო. ასეთისავე აზრისანი არიან ცოლ-ქმრობის შესახებ მისი ვაჟი-შვილნიც გასპარა და ავეტიქა მიკირტუმიჩები და ისინიც დიდს ფულსა და მზითევს თხოულობენ. რაღა თქმა უნდა, რომ „ინჟილერის“ და „დოხტურის“ დედასთან მაჭანკლებიც ბევრნი მივლენ და მდიდარ ქალებს გაურიგებენ. მდიდარი ქვრივი ანუშკა გუდადოვისა ცოტა ხნის მოლაპარაკებისა და მზითევსა და ქრთამზე ვაჭრობის შემდეგ თავისს ქალს სანდუხტას მიათხოვებს ინჟენერს გასპარ მიკურტუმოვიჩს და ათას-რვაას, თუ ორი-ათას თუმანს ქრთამს გაატანს. მკურნალი ავეტიქა მიკურტუმიჩ „პრაქტიკის“ გულისთვის შეირთავს ცოლს. თვით ქალებიც მხოლოდ იმიტომ ირთავენ ამ ძმებს, რომ ერთი „ინჯილერია“ და მეორე „დოხტური“. რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარ მოსაზრებათა გამო მომხდარი ქორწინება და ცოლქმრობა ბედნიერი არ იქმნებოდა. დედამთილსა, რძლებსა და ცოლ-ქმართა შუა ყოველ დღე ჩხუბი, დავიდარაბა და აურ-ზაურია და საქმე იქამდე მივა, რომ ინჟენერსა და ცოლს შორის ასტყდება მზითვის ფულის უკან დაბრუნებაზედ საჩივარი სასამართლოში, ხოლო მეორე ძმა თავისს ცოლსა სცემს და სამართალში უჩივიან. ამით თავდება პიესა.

პიესის ღირსება-ნაკლულევანებასა და არტისტთა მიერ როლების ასრულების შესახებ ხვალ მოვილაპარაკებთ.

# ნაკვესი

—

ჩვენი ბავშვები.

— გასო, მიას როგორ გაუბედე და უთხარი, სულელი ხარო.

— მამა, შენ თითონ არ...

— გაჩუმდი! მოიხადე ეხლავე ბოდიში.

— ძია, მაპატიე, რომ სულელი ხარ!

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შესაძლებელია, რომ ამიერიდგან მდივნებმა და ზოგიერთმა მოხელეებმა ედისონს საყვედური დაუწყონ ფონოგრაფის გამოგონებისთვის და აი რათა. პარიჟის მახლობლად არის ერთი ქალაქი Ftamps. ამ ქალაქის თვით-მმართველობის მოურავმა განუცხადა თვით-მმართველობის კრებას, რომ ვინმე გრატორს უთხოვნია მოურავისთვის, ნება მომეცით ფონოგრაფი დავდგა ჩემის ხარჯით იმ დარბაზში, რომელშიაც ქალაქის თვით-მმართველობის კრებები იმართება ხოლმე. გრატორი ჯილდოს არაფერსა სთხოვს ქალაქის თვით-მმართველობას და ასე ამბობს, მონოპოლია მომეცით ფონოგრაფების გამართვისა სხვა-და-სხვა დაწესებულებაშიო, ე. ი. ჩემს გარდა ნურავის მისცემთ ნებას ამგვარ დაწესებულებაში ფონოგრაფის დადგმისასაო. თვით-მმართველობის ზოგიერთ წევრთ ეს მოხსენება გრატორისა არაფრად ეჭაშნიკათ. ზოგი ამტკიცებდა, ფონოგრაფი კარგის მდივანის თანამდებობას ვერ გასწევსო, მაგრამ საბჭომ მაინც შეიწყნარა ზემო ხსენებული მოხსენება და მდივანის ალაგას საბჭოში ფონოგრაფი იქმნება.

* *

ერთს ამერიკელს მოუგონია ახალი მეცნიერება, სახელად სტომატოლოგია. ამ მეცნიერების სიტყვით, შეიძლება კაცმა შეიტყოს, როგორის ხასიათისაა ესა თუ ის ადამიანი და ამისათვის საჭიროა მხოლოდ კარგად გასინჯოს, როგორი პირი და ტუჩები აქვს ამ ადამიანს. ეს მეცნიერი სინჯავს ჟორჟ ზანდისა, სარა-ბერნარისა და გლადსტონის პირისა და ტუჩების მოყვანილობას და ამტკიცებს, რომ პირველ ორის ქალის პირისა და ტუჩების მოყვანილობა სწორედ ისეთია, როგორიც უნდა ჰქონდეს მწერალსა და არტისტ ქალს, ხოლო გლადსტონსკი ისეთი მოყვანილობა აქვს პირისა და ტუჩებისა, რომ უეჭველად გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე უნდა იყოსო.

ქ-ნს ჟორჟ ელიოტს ძლიერ დიდი პირი ჰქონდა და ეს ნიშანია დიდის ჭკუისა, გამბედაობისა და მხნეობისა. ადელინა პატტის ძლიერ ლამაზი და მოხდენილი ტუჩ-კბილი აქვს თურმე. ასეთივე ტუჩ-კბილი ჰქონდათ საფოსა, ასპაზიას და რაშელს. ძლიერ პატარა ტუჩ-კბილის პატრონნი კი ყველანი შეუბრალებელნი ყოფილან. ამიტომ, ამ ახალის მეცნიერების სტომატოლოგიის სიტყვით კაცები ძლიერ უნდა ერიდნენ პაწაწინა ტუჩ-კბილის პატრონ ქალებს და არ ენდონ მათ.

## სოფლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.

რადგანაც სოფლის სასწავლებლების მოსწავლეები სასწავლო ნივთებს სოფლებში ვერა ჰშოულობენ და ქალაქებში წასვლა იმათს მშობლებს არ შეუძლიანთ, ამისათვის მასწავლებლები ჰკრებენ მოსწავლეებს შორის ყოველგვარ სასწავლო ნივთების ფულებს, შემდეგ უგზავნიან წიგნის მაღაზიის პატრონებს და მოსდით სასწავლო ნივთები. ზოგიერთი მასწავლებელი მეტად უწესოდ იქცევა ამ საქმეში. ჯერ ორ ფასს ახდევინებს საწყალ ღარიბ მოსწავლეს სასწავლო ნივთისას, მაგ. რვეული ღირს 5 კაპ., ისინი ახდევინებენ 10 კაპიკს და მეორე—ისეცა ხდება, რომ, მაგალითებრ, მასწავლებელი გადიყვანეს სხვა სასწავლებელში და სასწავლო ნივთებისათვის შეკრებილი ფული ხშირად 40 ანუ 50 მანეთი თან წაიღო. ამგვარად დაეკარგა ღარიბ სოფლის მოსწავლეს თითო კაპიკობით ნაშოვარი ორიოდე გროში. ასეთი მასწავლებელი ჩირქს სცხებს სხვა პატიოსან მასწავლებელსაც და სახელს უფუჭებს, რადგან შემდეგ მშობლები დაშინებულნი არიან და სასწავლო მასალის ფული ვეღარ უნდვიათ მასწავლებლისათვის. კარგი იქნება, რომ ასეთი უწესოება მოისპობოდეს მასწავლებელთა შორის და თუ მაინცა და მაინც მოუხდება მასწავლებელს სხვაგან გადასვლა, იმ შემთხვევაში ფულები უკანვე დააბრუნონ, თუ სასწავლო მასალას აღარ უყიდიან მოსწავლეებს.

ვლადო ბზვანელი

## ასკანის (გურია) შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა წლიური კრება.

2 იანვარს, როგორც უკვე მოხსენებული იყო „ივერიის“ მე-269 №-ში, შესდგა პირველი წლიური საზოგადო

ხელმწიფოს ინტერესების მხრივ, ორსავე შემთხვევაში ცხადია, რომ აქ საქმე ცუდად არის და მთავრობის ღვთაებრივს მოვალეობას შეადგენს, —გაუწოდოს ხელი შველისა მშრომელსა და ნაყოფის გამომღებ ხალხს.

ასეა თუ ისე, მაინცა და მაინც რა მოსატანია ამ საუბარში ველიჩკოს მიერ ღალატი ქართველებისა. ასეთი თუ ისეთი შეხედულობა სოციალურ უსწორ-მასწორობისა და მისს მოსპობის შესახებ არა ჰქმნის კაცს მტრად რომელისამე ერისა. ჯერ მეცნიერებაში არ არის უცოდველად აღიარებული არც ერთი მოძღვრება. და თუ მაინცა და მაინც „ჩვენის დროის გმირები“ ამის გამო ამიხირდებიან, სხვა დროს საბუთებსაც წარვუდგენ.

აქ-კი საინტერესო ის არის, რომ ბ-ნ ველიჩკოს უმიზეზოდ ახვევენ „ჩვენი გმირები“ ისეთს ცოდვებს, რომელიც არის ნაყოფი მხოლოდ მათის გაფიცხებულ ოცნებისა.

რაც შეეხება პოლიტეხნიკუმსა, ან ერობას,—ეს ისეთი საგნებია, რომ მათ შესახებ სხვა-და-სხვანაირი შეხედულობა არ შეადგენს ღალატს არც ჭეშმარიტებისას, არც კაცურ-კაცობისას, არც ქართველობისას. აი, მაგალითიც. მე არა-ქართველობას ვერავინ დამწამებს, ვერც მოღალატობას, მაგრამ პოლიტეხნიკუმის შესახებ ასეთი აზრი მაქვს: ჩვენ, ქართველებს გვჭირია უფრო ზოგადი სწავლა და არა სახელოსნო, ანუ სპეციალური. სპეციალური სწავლა არც გავრცელდება და ვერც ნაყოფს მოიტანს იმ ქვეყანასა და ერში, სადაც საკმაოდ არ არის გავრცელებული ჯერ ზოგადი სწავლა. თვით ისტორია სწავლა-განათლებისა და გავრცელება სპეციალურ სასწავლებლებისა ამისი უტყუარი საბუთია. ამიტომ მე სრულიად წინააღდეგი ვარ ჩვენში პოლიტეხნიკუმის დაარსებისა და უნივერსიტეტს ვარჩევ.

ვითომ რაკი ასეთს აზრს ვადგევარ, ქართველობის მტერი ვარ? „ჩვენის დროის გმირების“ აზრით-კი ასე გამოდის.

ერობის შესახებ ბ-ნ ველიჩკოს აზრი ერთი საუკეთესო და ღრმა აზრთაგანი იყო. რაც შეეხებოდა მის განხორციელებას, „კავკაზმა“ არჩია აუჩქარებლობა, ადგილობრივის ვითარებისა და გარემოების კარგად შესწავლა, ნიადაგის მომზადება. და ეს განა რეაქციონერობა და რეტროგრადობაა?

ყოველივე ეს მხოლოდ იმასა ნიშნავს, რომ ბურჟუაზია ძალაა, რომ იგი თავისის გამხრწნელის ზეგავლენით კაცს აბრმავებს, თავისს საკუთარს ინტერესებს ავიწყებს და აომებს ბურჟუაზების ინტერესებისთვის. „ჩვენი გმირები“ მომაგონებენ დაქირავებულ სახლის მცველებს, ასასებს, რომელნიც „აღების“ კეთილდღეობისთვის თავს გასწირვენ. აი ეს ბატონები ჰქადულობენ: მერმისი დაგვანახვებს, ვინცა სტყუისო!

ჩვენ ვეტყვით: დიახ და, სამწუხაროდ, ძალიან მალეც.

მე გახლავარ

## მ ი ყ ვ ა რ ს.

ესკიზი ანდრია თემოვსკისა

ჩემმა სიყმაწვილემ ისე გაიწკრიალა, როგორაც საკვირველმა, მოკლე სიმღერამ; ის სიმღერა ეხლაც-კი გაისმის ჩემს სულში; თუმც არ ძალმიძს იმის ჰანგს ჩავკიდო ხელი, მაგრამ ცალ-ცალკე ბგერა-კი განუწყვეტლივ ისმის ჩემს აღშფოთებულს ცხოვრებაში. რამდენჯერ ვეუბნებოდი მაშინ ჩემ თავს: „მიყვარს“. ამიტომ მე და ეს ბედნიერება ერთი და იგივე ვიყავით: მე ვიყავი სხეული, ხოლო ბედნიერება სულით, რომელიც აძლევდა, სიცოცხლეს ამ პატარა არსებას.

წარვიდნენ დღენი ჩემის ყრმობისა, და განქრა ჩემის სახიდგან ბრწყინვალება გაზაფხულისა, ბედნიერებაც გაჰფრინდა ჩემის გულიდგან: უცხო უცხოთა შორის ვხედავდი ჩემს გარშემო სიმხნევეს, ალტაცებას, ვხედავდი ახალგაზდობას, რომელთაც შეეძლოთ ეცოცხლათ ჭეშმარიტის სიცოცხლით, დამტკბარიყვნენ ძვირფასის თავისუფლებით. ჩემს შუბლუზედ-კი ეწერა სიტყვა: ზიზღი. შენ ისეთი არა ხარ, როგორიც სხვები არიან, ყველგან ამას მეუბნებოდნენ. ხანდახან ეს სიტყვები კიდეც მანუგეშებდა ხოლმე.

მოვიდა ჟამი ჭაბუკობისა. იმან მამცნო ყველა, რაც უნდა გამეგო და რაც უფრო კარგი იყო, სრულიად არ გამეგო. მან მიამბო ამბავი შიმშილისა და წყურვილისა, ძნელად ასატან და ბალღამ ტანჯვისა, გმირობისა და თავის შეწირვისა, ბედასლობისა... ჭაბუკობამ, ვით სატანამ, მაჩვენა ყველა სიამე ამ ქვეყნისა და ყოველი მწუხარება და ნაღველი. იგი, როგორც სატანა, მაცდენდა, მაგრამ მაინც მე ყველა უარ-ვყავი და წავედი წინ სწორე და ნათელის გზით, რომლით ვიდოდნენ ამ ჟამად მრავალნიც სხვანი, ჩემებრ განკიცხულნი.

მომეპარა სიმწიფის ხანა, ჩუმად, ვით მავნე; იგი დასცინოდა ჩემს აზრს და ჩემ გრძნობებს, მაფურთხებდა პირში, ბოლოს-კი, როგორც კატორგაში გაგზავნილი, შემაბა სხვა-და-სხვა მოვალეობათა ჯინში, განდევნა ჩემის ტვინიდგან ყოველივე ეჭვი, ყოველივე იმედი, ხოლო გულიდგან—სიცხე და სიცივე; ცეცხლით ამოწვა წარსული, წამომკიდა ახალი მოვალეობანი და მომხარა ამ ტვირთის სიმძიმის ქვეშ. „შენ ხომ დამწიფებული კაცი ხარ!“ მეუბნებოდა: არ ვიცი, უნდოდა ამით ჩემთვის ჭეშმარიტება ემცნო, თუ მხოლოდ დამცინოდა.

დღეს დილით, უსიამოვნოდ გატარებულ ღამის შემდეგ, რამდენსამე საათს დასვენებული, მაგრამ მაინც ისევ ქანც გაწყვეტილი, თავს ვივარცხნიდი და სავარცხელზედ ერთი ბღუჯი გაჭაღარებული თმა შემრჩა. მაშ ჭაღარაცა?.. გავიფიქრე მწარის ღიმილით და ესეც დავაჭკაცების, სიმწიფის დროს. მაშინ რაღა დამემართება, როდესაც დავბერდები?.

რის გულისათვის არის ყველა ეს ტანჯვა, აღფრთოვანება და მისწრაფება? ვეკითხებოდი ჩემს თავს. ასე ადრე ვისთვის გავჭაღარავდი? რად მივისწრაფი ასე სიბერისაკენ? გადავავლე თვალი მინდვრებს, სოფლებს... იმათთვის, გავიფიქრე გულში, იმათთვის!.. გიყვარს შენ ისინი?.. ოჰ, დიაღ, მიყვარს! ვუპასუხე ჩემს თავს.

ამ დროს შორს, შორს გაიწკრიალა რაღაცა ჰანგმა, უწინდელმა, დავიწყებულმა, მაგრამ ოდესმე გულთან ისე დაახლოვებულმა, ისეთმა ძვირფასმა, დიადმა ბედნიერებით აღსავსემ...

ის ჩემი სიყმაწვილე იყო, დიდის ხნის დავიწყებულმა ხელ-ახლად მომცა ხმა. რატომ წინად არა ვგრძნობდი ამ სიყვარულს ისე, როგორც ეხლა ვგრძნობ, იმის მიუხედავად, რომ მე თვით განხორციელებული სიყვარული ვიყავი?..

ეხლანდელი „მიყვარს“ სულ სხვაა, ეს ბედნიერება კი არა—ბედისწერაა, მავნე და შეუწყალებელი, რომელსაც წინ ვერავინ აღუდგება, ვისაც გული ჯერ არ გაჰქვავებია, თუნდა ეს „მიყვარს“ სიკვდილისკენ მიუძღოდეს დასაღუპავად, სამუდამო, საუკუნო განქარწყლებისკენ..

ი. გ—რი.

კრება ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა. კრებას დაესწრო 160 წევრი და 200-მდე არა-წევრი, ასე რომ ვებერთელა ორ-კლასიანის სასწავლებლის დარბაზი სავსე იყო ხალხით. კრება დაიწყო სწორედ პირველ საათზედ. განსახილველი იყო შემდეგი საგნები: ა) შემოწმება და დამტკიცება 1897 წლის ანგარიშისა; ბ) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა იმის ნაცვლად, რომელიც გადიოდა რიგით; გ) არჩევანი საბჭოს ორი წევრისა, რიგით გამსვლელთა ნაცვლად; დ) არჩევანი სამის წევრისა ამხანაგობის ანგარიშის შესასწორ-შესამოწმებლად; ე) მიღება ახალ წევრთა და სხვა.

კრებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა სოლომონ ჭეიშვილი, მოისმინა 1897 წლის ანგარიში, რომლისაგანაც სჩანს, რომ ამხანაგობას თავისი წარმოება დაუწყია 2 იანვარს 1897 წლისას. წლის განმავლობაში ამხანაგობაში შესულა ორას ორი წევრი, მათ შორის ოც-და რვა ქალი. წლის განმავლობაში გამორიცხულა ორი წევრი, ერთი საწილო ფულის დროზედ შემოუტანლობის გამო და მეორე გარდაცვლილა. სრული საწილო ფული ოც-და ხუთი მანეთი შემოუტანია ორმოც-და-ხუთ წევრს. შემოსულა საწილო ფული 3024 მ., სარგებელი გასესხებულის ფულისა 425 მ. 86 კ., დაბრუნებულა სესხი 3947 მ., შესანახი ფული შემოსულა 1197 მ. 10 კ., სხვა-და-სხვა 60 მ. 56 კ., გადარიცხულა საწევრო ფული 27 მ. სულ 8681 მან. 56 კაპ. გასავალი: საწილო ფული 27 მ., სესხი 7870 მ., სარგებელი კადამდე შემოტანილის ფულისა 3 მ. 83 კ., შესანახად შემოტანილი ფული გაუტანიათ 554 მ. 79 კ., სარგებელი შესანახად შემოტანილის ფულისა 10 მ. 38 კ., ხარჯი წიგნებისა, შკაფისა და სხვა 54 მ., სულ 8520 მ. 60 კ. დარჩა ნაღდი ფული კასაში პირველ იანვრისათვის ამა წლის 160 მ. 96 კ.

კრებამ: ა) ეს ანგარიში სცნო კანონიერად და დაამტკიცა; ბ) გამგეობის წევრად ხელ-მეორედ არჩეულ იქმნა ივლიანე ჭეიშვილი; გ) საბჭოს წევრებად ხელ-მეორედ არჩეულ იქმნენ სოლომონ ჭეიშვილი და ალექსი ჭელიძე; დ) არჩევა სამის წევრისა მთელის წლის განმავლობაში ანგარიშის შესასწორ-შესამოწმებლად კრებამ არ ინდომა.

ამ კრებაზედ წევრობის სურვილი განაცხადა სამოცმა, ამათში თხუთმეტი ქალია. კენჭი უყარეს მხოლოდ ხუთს, მიიღეს ოთხი, ერთი-კი (ქალი) გააშავეს. დანარჩენების მიღება გადაიდო შემდეგის საგანგებო კრებისათვის.

კრებამ უანგარო სამსახურისთვის გამგეობის წევრს ბ-ნს ივლიანე ჭეიშვილს მიართვა ერთი ლამპარი და წევრების ხელ-მოწერილი წერილი, რომლის მირთმევა კრებამ დაავალა ქ-ნს კარდოფინა შევარდნაძისას და კაპიტონ ასათიანს, რომლებმაც შესაფერი სიტყვა უთხრეს და სთხოვეს კვლავაც გამგეობაში სამსახური. გამგეობის წევრთ მღ. სარდიონ ჯინჭარაძეშვილს და დიაკ. სიმონ შარაშიძეს კრებამ გამოუცხადა მადლობა უსასყიდლო სამსახურისთვის. უკანასკნელად, თავმჯდომარემ გაახსენა კრებას, თუ რა დიდი შრომა მიუძღვის ამხანაგობის გამგეობაში ექვსის თვის განმავლობაში ბ-ნ ეფრემ თალაკვაძეს, რომელიც ეხლა ტომსკის უნივერსიტეტში სწავლობს საექიმო ფაკულტეტზედ და აუხსნა, რომ ურიგო არ იქნება ცოტა რამ გადავდვათ იმის სასარგებლოდაო. კრებამ დიდის სიხარულით მიიღო ეს წინადადება და დაადგინა: გაეგზავნოს სარგებლიდგან ოც-და-ხუთი მანეთი. აქვე ამხანაგობის წევრმა ივლიანე ნინიძემ თავმჯდომარეს გადასცა ხუთი მანეთი იმ ფულების დასამატებლად. ამ პირველ მაგალითს მიჰყვა სხვებიც და ხუთის წუთის განმავლობაში შეგროვდა სამოც-და-რვა მანეთი და სამი შაური, გარდა იმ ოც-და ხუთი მანეთისა, რომელიც კრებამ გადასდო. აქ იმათ სახელისა და გვარის გამოცხადებას, რომელთაც ეს წვლილი გამოიღეს, საჭიროდ არა ვრაცხთ.

კრება საღამოს რვა საათზედ დაიშალა.

ერთი წევრთაგანი

## გამოსადეგი ცნობა

სპილენძის ქვაბებს ასე უნდა გაწმენდა. ერთს თუნგს ცხელ წყალში გახსენით ერთი კოვზი სოდა. ამ წყალში ჩაასველეთ ხოლმე მჩვარი, მერე ჩააწეთ წვრილ ქვიშაში და ქვაბი გახეხეთ, მერე გამოავლეთ და გაშრობა დააცადეთ. თუ სპილენძის ჭურჭელს ჟანგი აქვს მოკიდებული, იმისი მოშორება შეიძლება წყალ-ნარევის მმრით.

## ახალი წიგნები

—

1) ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „გლოვა მეფის ირაკლი მეორისა“, თქმული სოლომონ მსაჯულისაგან. წიგნი ზ. ჭიჭინაძის გამოცემაა, სუფთად არის დაბეჭდილი და ღირს ერთი შაური. ამ „გლოვა“-ს დართული აქვს ლექსი „ალსდეგ გმირთ-გმირო“ და ხალხური ლექსი მეფის ერეკლეს გარდაცვალების შესახებვე: „ვერ გაგიგიათ, ქართველნო, შაგეხსნათ რკინის კარია“.

2) ჩვენ მოვიღეთ პაწია წიგნაკად გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამიძისაგან ცხოვრება ღირსისა ალექსი ღვთის კაცისა. „ალექსიანს“ დართული აქვს ტროპარი და კონდაკი ალექსის შესახებ თითო ხმა, ხუცური და მხედრული ანბანი, ციფირები და ქართული ანგარიში. წიგნაკი შეიცავს 24 გვერდს პაწია ზომისას და ჰღირს ერთი შაური.

3) „საქართველოს სამეფოს“ უკანასკნელი წლები, რუსულად დაწერილი გენერალ-ლეიტენანტის ს. ი. ქიშმიშევის მიერ. წიგნი შეიცავს 113 გვერდს და ჰღირს 40 კაპ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

15 იანვარი

**პარიჟი.** როშფორის გაზ. Intransigeant“-ში წერილი დაიბეჭდა და ნათქვამი იყო, რომ დრეიფუსის საქმის განხილვის დროს წაკითხული წერილი, რომელსაც ქვეშ „ოტტო“ ეწერა, რეინაკს ეკუთვნისო. ამის გამო რეინაკმა სადიფამაციო საჩივარი აღძრა როშფორის წინააღმდეგ და ამ საჩივარის განხილვას პარიჟის ზნე ხასიათის გამასწორებელი სასამართლო შეუდგა. ბარბუმ სიტყვა წარმოსთქვა რეინაკის დასაცველად და შემდეგ საქმე გადაიდო ერთის კვირით. სასამართლოს წინ შეკრებილი ხალხი დიდის ამბით მიესალმა როშფორს.

**ჩელიაბინსკი.** სადგურ კრივოშჩენკოვოს მახლობლად გზათა მინისტრმა გამინგერის ახალი სატელეფონო მანქანა გამოსცადა. მანქანა ციმბირის ყოველ ხალხისა და მუშა მატარებელზედ არის დადგმული იმ აზრით, რომ საჭიროების დროს მატარებლიდგან სადგურს დაელაპარაკოს კაცი. ეს მანქანა დღემდის გამოგონილ მანქანებს გაცილებითა სჯობია.

16 იანვარი

**ბომბეი.** წარსულ კვირას შავის ჭირით 834 კაცი გარდაიცვალა. სულ-კი—1726.

**ლონდონი.** სტატს-სეკრეტარმა გამილეტონმა ჩისვიკში წარმოსთქვა სიტყვა და განაცხადა, რომ ინგლისი და შუა აზიის მეორე უდიდესი სახელმწიფო რუსეთი კარგს განწყობილებაში არიანო. „რუსეთმა პატიოსნად აღასრულა ყოველივე ვალდებულება, რომელიც მან ინგლისთან ხელშეკრულობით იკისრაო“.

**პარიჟი.** ზოგიერთის გაზეთის მიერ გავრცელებული ხმა ვითომც იაპონიისა და ინგლისის ელჩი თანხმად მოქმედებენ პეკინში ჩინეთის სესხის შესახებ და ვითომ იაპონიის ესკადრა ჩინეთის წყლებში უნდა წავიდესო — როგორც ნამდვილის წყაროებიდგან სჩანს, ყოველს სიმართლეს მოკლებულია.

**ბერლინი.** კერძო ცნობები იუწყებიან, რომ ორშაბათს, ღამე, ტოინოში, კიაო-ჩაუს ნავთ-სადგურში, ჩინეთის ბრბომ მოჰკლა გერმანელი დარაჯი. კიაო-ჩაუსსა და ტოინში ჯარი გაგზავნეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი მღ. იოსებ დარჩიას, აზ. ხოსო გიგინეიშვილს, ქ-ნი სოფიო ჰყონიას ასულს და ეფროსინე შარაძისას, რომელთაგან პირველმა შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო ჯურუყვეთის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიას დაფარნები, ღირებული თუმნად, მეორემ საეკკლესიო დროშა და ჯვარი ღირებული ოც და ათ მანეთად, მესამემ—სანაწილე, ღირებული 20 მ., ხოლო მეოთხემ ჯვარი, ღირებული 15 მან.

მღვდელი ეპიფანე ჩხაიძე


# განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

## ყვავილთა შორის

მოთხრობა მოხუცის მებაღისა, სურათებით გადმოღებული სალომე შუბათელისმიერ
ფასი 45 კაპ.

და

ამბავი

ცხოველთა სამეფოსი

შედგენილი ნ. რუბაკინის მიერ სურათებით
თარგმანი გრ. ყიფშიძისა
ფასი 50 კაპ.

## იმლევა ქირით

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21.

ზემო სართულში ხუთი ოთახი თავისის მოწყობილობით.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| კრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი . . . . | 1 | 50 |

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

## „მეაბრეშუმეთა პრველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში და მისი საქმეები“

ნ. წერეთლისა. ტფილისი, 1897 წ.

შინაარსი: I. რამ გამოიწვია დაარსება „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა?“

II „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის მოქმედება“.

III „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა და ბ. ი—ბ კ—ძე“.

IV „რა და რა ნაკლს პოულობს ი. კ—ძე მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის საქმეთა წარმოებაში?“

ფასი 5 კ.

(6—213—5)

## „ცნობის ფურცელი“

ყოველ დღიური სახალხო გამოცემა.

**1898** წელს გამოვა უფრო **ვრცელის შინაარსით** და **მრავალის ცნობებით** საქართველოს ყველა კუთხიდან.

„ცნობის ფურცელი“ ერთად ერთი ყოველ-დღიური გაზეთია, რომელიც სიიაფისა გამო ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

დიდი უპირატესობაა აგრეთვე ის გარემოება, რომ გაზეთი გამოდის **ყოველ-დღე** კვირა-უქმეების შემდეგაც.

**წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ.**

ვინც გაზეთს წლიურად დაიკვეთავს, იმას უსასყიდლოდ გაეგზავნება

**კედლის კალენდარი 1898 წლისა**

სურათებიანი და მშვენიერს ქაღალდზედ დაბეჭდილი სხვა-და-სხვა ფერადებით

**სამაგალითო** და **ძვირფასი ნოგათები**

„ცნობის ფურცლის“ რედაქციამ შეიძინა უფლება და დამდეგს 1898 წელს გამოსცემს ჩვენის ახალგაზდა ნიჭიერის მწერლის **შ. არაგვისპირელის**

**სრულს თხზულებათა**

ავტორის სურათით, მოკლე ბიოგრაფიით და კრიტიკულის განხილვით. წიგნში მოთავსებული იქნება ოცზე მეტი სხვა-და-სხვა საუკეთესო მოთხრობები, დაწერილი 1898 წლამდე. წიგნი იქნება მშვენიერს ქაღალდზედ დასტამბული, დიდის ზომისა და 300 გვერდზედ მეტი.

გაზეთის ფასი: წლიურად უველა ნობათებით **6** მ., ნახევარის წლით **4** მ., ერის თვით **60** კაპ. ცალკე ნომერი **3** კაპ.

**შეღავათიან ხელის-მომწერთათვის**

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც წლიურ ფასის სრულად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მ. წარმოადგინონ და მერე უოველ თვე და თვე თითო მან., ვიდრე წლის ფასს შეასრულებდნენ.

**საჭირო შენიშვნა.** წრევანდელი ხელის მომწერთა, თუ მოისურვებენ დამდეგის 1898 წლისათვის გაზეთის დაკვეთას, უნდა დროისით შეატყობინონ რედაქციას და თან გამოგზავნონ დაბეჭდილი ადრესი, რომლითაც „ცნობის ფურცელი“ ეგზავნებათ, რათა დროზედ მიუვიდეთ გაზეთი, თორემ ადრესების ბეჭდვა ფოსტისათვის და სხვა მრავალი წვრილმანი საქმენი, აუცილებელნი ხელის მოწერის მიღების დროს, აფერხებენ გაზეთის დროზედ გაგზავნას.

პირველ იანვრიდგან გაზეთი მხოლოდ იმას მიუვა, ვინც დეკემბერშივე გამოაცხადებს თავის სურვილს გაზეთის გამოწერაზედ. ადრესი გაზეთის დასაკვეთად: Тифлисъ, газета „Цнобисъ Пурцели“

რედაქტორ-გამომცემელი **ვალერიან ლევანის ძე გუნია.**

(6—უ.—4)

## ვყიდულობთ



ცოცხალს, კავკასიის გარეულ ცხოველებს:

ირმებსა, ჯეირნებს, ვეფხვებს, ჯიხვებს, ხრჩვებს, არნებს, ფოცხვერებს და სხვ.

საჭიროა აგრეთვე დიდრონი ირმის რქები.

მიხეილის ქუჩა, № 106, ეზოში; სახლი ბარამოვისა. იკითხე ჭუგო გინკლერი.

(6—212—5)